

**სამეთვალყურეო საბჭოს ბუნებითი უფლებები, კორპორაციული მართვის
ორსაფეხუროვანი სისტემის დროს**

გიორგი ქარცივაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
კერძო (ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო ნაშრომი

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაისურაძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორგინალურ ნამუშევარს არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარმოდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი ქარცივაძე

2019

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია, სამეთვალყურეო საბჭოს ბუნებითი უფლებები, დუალისტური სისტემის დროს. აღნიშნული საკითხის ღირებულება, ვფიქრობ, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარეობს. ნაშრომში განხილული საკითხი არ არის ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობით სრულად რეგულირებული, არსებობს ხარვეზები, რომელიც საჭიროებს გადახედვას. სამეთვალყურეო საბჭოს პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ არის საკითხები, რომელიც შეიძლება უკეთ დარეგულირდეს, რაც თავის მხრივ კორპორაციული მართვის განვითარებას შეუწყობს ხელს.

ნაშრომში განხილულია საბჭოს ბუნებითი უფლებები, რომელიც დუალისტური სისტემის დროს გვაქვს. დიდი ყურადღება ეთმობა საზედამხედველო ფუნქციას, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს ბუნებითი უფლებებია. ნაშრომში აღწერილია, ქართული, გერმანული და ამერიკული სამართლის ის ნორმებიც, რომელიც საბჭოს უფლებამოსილებას არეგულირებს.

მეწარმეთა შესახებ კანონის პროექტის მიხედვით საბჭოს უფლებრივი მდგომარეობის შეცვლის მცდელობა, წინადადებული ნაბიჯია საკორპორაციო სამართლის განვითარების ასპექტში. კვლევის შედეგად გამოვლინდა ქართული და გერმანული კანონმდებლობის ურთიერთკავშირი, საკითხისადმი მიდგომა და პრაქტიკული რეალობა. კორპორაციული მართვის ამერიკულ მოდელთან შედარებამ ცხადყო ხარვეზები, რაც სამეთვალყურეო საბჭოს აქვს, უფლებამოსილების ასპექტში. ნაშრომში განხილული კორპორაციული მართვის სისტემების დახასიათებით მათი შედარებით უცხოურ კანონმდებლობასთან ნათელი გახდა მათი მნიშვნელობის განსაზღვრა. კორპორაციული მართვის მოდელების განხილვით შესაძლებელი გახდა ორსაფეხურიანი სისტემის დადებითი და უარყოფითი მხარეების დანახვა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კორპორაციული მართვა, სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი, საერთო კრება, ბუნებითი უფლებები.

Abstract

The work deals with the natural rights of the supervisory board in the dualistic system. I think, the value of this issue, is derived from its significance. The issue discussed in the paper is not fully regulated by our country's legislation, there are gaps that needs to be reviewed. The practice of the supervisory board shows that there are issues that can be regulated better, which in the future will contribute to the development of corporate governance.

The natural rights of the board is discussed in the work. These rights that we have in the dualistic system. The supervising function is taken into account, which is the natural right of a supervisory board. The work, also describes Georgian, German and American law, under which are regulated rights of board.

According to the draft of the Corporate Law, which is trying to alternate condition of rights of the board is a progressive step towards development of corporate law. The aim of this work, was to find out connection between Georgian and German laws, their dependence and practical reality. Some issues of the rights of a supervisory board was a result of comparing it to American corporate governance model. These comparisons made the importance of corporate governance clear. The work revealed advantages and disadvantages of the two-step governance.

Main key words: Corporate Governance, Supervisory Board, Management Board, General Meeting, Natural right.